ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 60-75

"14" ივლისი 2020 წ.

ქ. თბილისი

„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის №1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის №1-5 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი 25/01/2017, სარეგისტრაციო კოდი: 310060000.35.101.016361) და დადგენილების:

1. სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე".

2. პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის და 75-ე მუხლის „ე.დ" ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 და 25-ე მუხლების, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:".

3. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის პირველი ივლისის №20.689.866 განკარგულების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტები, დანართის შესაბამისად.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტები

რიგითი №	მარშრუტების დისლოკაციის ადგილები	მარშრუტების სქემები
1	სახ. უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი	რუსთავის გზატკეცილი (ქვემო ფონიჭალის დასახლება) - ვახტანგ გორგასლის ქ. - მტკვრის მარჯვენა სანაპირო - გმირთა მოედანი (შემოსვლა "ლაგუნა ვერეს" მხრიდან) - მერაბ კოსტავას ქ. - პეკინის გამზირი - ვაჟა ფშაველას გამზირი - პეტრე ქავთარაძის ქ. - უნივერსიტეტის ქ. - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი. **უკუმიმართულება:** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი - უნივერსიტეტის ქ. - პეტრე ქავთარაძის ქ. - ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი - პეკინის გამზირი - მერაბ კოსტავას ქ. - გმირთა მოედანი - მტკვრის მარჯვენა სანაპირო (ჩასვლა "ლაგუნა ვერეს" მხრიდან) - ვახტანგ გორგასალის ქ. - რუსთავის გზატკეცილი (ქვემო ფონიჭალის დასახლება).
2	მ/ს "დიდუბე" (ქვედა გასასვლელი)	რუსთავის გზატკეცილი - ვახტანგ გორგასლის ქ. - მტკვრის მარჯვენა სანაპირო - გმირთა მოედანი (შემოსვლა "ლაგუნა ვერეს" მხრიდან) - თამარ მეფის გამზირი - დავით აღმაშენებლის გამზირი - გოგი ცაბაძის ქ. - აკაკი წერეთლის გამზირი - მ/ს "დიდუბე" (ქვედა გასასვლელის მიმდებარედ) **უკუმიმართულება:** მ/ს "დიდუბე" (ქვედა გასასვლელის მიმდებარედ) - წერეთლის გამზირი - გოგი ცაბაძის ქ. - დავით აღმაშენებლის გამზირი - თამარ მეფის გამზირი - გმირთა მოედანი - მტკვრის მარჯვენა სანაპირო (ჩასვლა "ლაგუნა ვერეს" მხრიდან) - ვახტანგ გორგასალის ქ. - რუსთავის გზატკეცილი

3	მ/ს "დიდუბე" (ზედა გასასვლელი) (თორნიკე ერისთავის ქ. №1)	რუსთავის გზატკეცილი - ვახტანგ გორგასალის ქ. - მტკვრის მარჯვენა სანაპირო - გმირთა მოედანი (შემოსვლა "ლაგუნა ვერეს" მხრიდან) - მერაბ კოსტავას ქ. - სააკაძის მოედანი - გიორგი სააკაძის დაღმართი - ვახუშტი ბაგრატიონის ხიდი - ვახუშტი ბაგრატიონის ქ. - დავით ყიფიანის ქ. - გოგი ცაბაძის ქ. - აკაკი წერეთლის გამზირი - თორნიკე ერისთავის ქ. №1 (მ/ს "დიდუბე" (ზედა გასასვლელი) **უკუმიმართულება:** თორნიკე ერისთავის ქ. №1 (მ/ს "დიდუბე" (ზედა გასასვლელი) - აკაკი წერეთლის გამზირი - გოგი ცაბაძის ქ. - დავით ყიფიანის ქ. - ქუთაისის ქ. - ვახუშტი ბაგრატიონის ხიდი - გიორგი სააკაძის დაღმართი - გიორგი სააკაძის მოედანი - მერაბ კოსტავას ქ. - მიროტაძის ქ. - პეკინის ქ. - მერაბ კოსტავას ქ. - გმირთა მოედანი - მტკვრის მარჯვენა სანაპირო (ჩასვლა "ლაგუნა ვერეს" მხრიდან) - ვახტანგ გორგასლის ქ. - რუსთავის გზატკეცილი
4	სადგურის მოედანი ("თბილისი ცენტრალი"-ს პირდაპირ)	რუსთავის გზატკეცილი - ვახტანგ გორგასლის ქ. - მტკვრის მარჯვენა სანაპირო - გმირთა მოედანი (შემოსვლა "ლაგუნა ვერეს" მხრიდან) - თამარ მეფის გამზირი - სადგურის მოედანი ("თბილისი ცენტრალის" პირველი და მეორე სართულის მიმდებარე ტერიტორია) **უკუმიმართულება:** სადგურის მოედანი ("თბილისი ცენტრალის" პირველი და მეორე სართულის მიმდებარე ტერიტორია) - სადგურის მოედანი (ჩამოსვლა „თბილისი ცენტრალის" მეორე სართულის მიმდებარე ტერიტორიიდან პანდუსის გავლით ან გამოსვლა "თბილისი ცენტრალის" პირველი სართულის მიმდებარე ტერიტორიიდან, სადგურის მოედანი №3/32 -ის მიმდებარე ტერიტორიიდან მოძრაობა თამარ მეფის გამზირის მიმართულებით) - თამარ მეფის გამზირი - გმირთა მოედანი - მტკვრის მარჯვენა სანაპირო (ჩასვლა "ლაგუნა ვერეს" მხრიდან) - ვახტანგ გორგასლის ქ. - რუსთავის გზატკეცილი
5	„ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისი" -ს მიმდებარე ტერიტორია	რუსთავის გზატკეცილი - ვახტანგ გორგასლის ქ. - იალბუზის ქ. - ბოჭორმის ქ. - ლეხ კაჩინსკის ქ. - ქეთევან წამებულის გამზირი - მოსკოვის გამზირი - ჯავახეთის ქ. - მ/ს "ვარკეთილი" - ჯავახეთის ქ. - კუპრაძის ქ. - „ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისის" მიმდებარე ტერიტორია (ვარკეთილის IV მ/რაიონი) **უკუმიმართულება:** „ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისის" მიმდებარე ტერიტორია (ვარკეთილის IV მ/რაიონი) - კუპრაძის ქ. - ჯავახეთის ქ. - მოსკოვის გამზირი - ქეთევან დედოფლის გამზირი - ნავთლუღის ქ. - რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. - გულიას ქ. - გულიას მოედანი - ვახტანგ გორგასლის ქ. - რუსთავის გზატკეცილი

6	ლილოს ბაზრობა	კახეთის გზატკეცილი (შემოსვლა ლოჭინის ხიდების მხრიდან) - ლილოს ბაზრობა (მიმდებარედ) **უკუმიმართულება:** ლილოს ბაზრობა (მიმდებარედ) - კახეთის გზატკეცილი (გასვლა ლოჭინის ხიდების მხრიდან)
7	მოსკოვის გამზირი №2	სადგურ "ველი" - გარდაბნის გზატკეცილი - ქინძმარაულის ქ. - მოსკოვის გამზირი - მოსკოვის გამზირი №2 (ავტოსადგური) **უკუმიმართულება:** მოსკოვის გამზირი №2 (ავტოსადგური) - ქინძმარაულის ქ. - გარდაბნის გზატკეცილი - სადგურ "ველი"
8	ხიზანიშვილისა და ვასაძის ქუჩების გადაკვეთის მიმდებარედ	რუსთავის გზატკეცილი - ვახტანგ გორგასლის ქ. - მტკვრის მარჯვენა სანაპირო - გმირთა მოედანი (შემოსვლა "ლაგუნა ვერეს" მხრიდან) - თამარ მეფის გამზირი - გიორგი კვინიტაძის ქ. - მტკვრის მარცხენა სანაპირო - ვახუშტი ბაგრატიონის ქ. - აკაკი წერეთლის გამზირი - მ/ს "დიდუბე" (ქვედა გასასვლელი) - მტკვრის მარცხენა სანაპირო - ფეიქრების ქ. - შეშელიძის ქ. - ხიზანიშვილის ქ. (გლდანის I-II მ/რ, გლდანის "ა" მ/რ.) - ხიზანიშვილისა და ვასაძის ქუჩების გადაკვეთის მიმდებარედ. **უკუმიმართულება:** ხიზანიშვილისა და ვასაძის ქუჩების გადაკვეთის მიმდებარედ - ვასაძის ქ. - შეშელიძის ქ. - ფეიქრების ქ. - მტკვრის მარცხენა სანაპირო - მ/ს "დიდუბე" (ქვედა სადგური) - აკაკი წერეთლის გამზირი - ქუთაისის ქ. - ვახუშტი ბაგრატიონის ხიდი - გიორგი სააკაძის დაღმართი - სააკაძის მოედანი - მერაბ კოსტავას ქ. - მიროტაძის ქ. - პეკინის ქ. - მერაბ კოსტავას ქ. - გმირთა მოედანი - მტკვრის მარჯვენა სანაპირო (ჩასვლა "ლაგუნა ვერეს" მხრიდან) - ვახტანგ გორგასლის ქ. - რუსთავის გზატკეცილი
9	მიროტაძის ქ. №6-8-ის მიმდებარედ ("მორკინალის" მიმდებარედ)	რუსთავის გზატკეცილი - ვახტანგ გორგასლის ქ. - მტკვრის მარჯვენა სანაპირო - გმირთა მოედანი (შემოსვლა "ლაგუნა ვერეს" მხრიდან) - მერაბ კოსტავას ქ. - მიროტაძის ქ. (№6-8-ის მიმდებარედ) **უკუმიმართულება:** მიროტაძის ქ. (№6-8-ის მიმდებარედ) - მერაბ კოსტავას ქ. (მობრუნება სააკაძის მოედანზე) - მიროტაძის ქ. - პეკინის ქ. - მერაბ კოსტავას ქ. - გმირთა მოედანი - მტკვრის მარჯვენა სანაპირო (ჩასვლა "ლაგუნა ვერეს" მხრიდან) - ვახტანგ გორგასლის ქ. - რუსთავის გზატკეცილი

10	"ისთ ფოინთის" მიმდებარე ტერიტორია (კახეთის გზატკეცილი)	კახეთის გზატკეცილი (შემოსვლა ლოჭინის ხიდების მხრიდან) - "ისთ ფოინთის" მიმდებარე ტერიტორია (კახეთის გზატკეცილი). **უკუმიმართულება:** "ისთ ფოინთის" მიმდებარე ტერიტორია (კახეთის გზატკეცილი) - კახეთის გზატკეცილი (გასვლა ლოჭინის ხიდების მხრიდან).